

**სახელმწიფოს მართვის მართიანი ავტომატიზებული სისტემის  
შექმნის პრობლემების კვლევა**

ოთარ შონია, გულბათ ნარეშელაშვილი, გიორგი მაისურაძე,  
აკაკი შონია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განალიზებულია სახელმწიფოს მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნის აუცილებლობა და ამ დროს გადასაწყვეტი ზოგიერთი ძირითადი პრობლემები. განხილულია კონკრეტული მოდელირების ადგილი აღნიშნულ სისტემაში, მისი შექმნისა და გამოყენების ძირითადი პრინციპები და თავისებურებები.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო მართვა. სისტემა. მოდელირება. სცენარი. კონკრეტული მოდელირება. სიტუაცია. პროცესი.

**1. შესავალი**

მეოცე საუკუნის დასასრულს ტექნიკურმა პროგრესმა თავის დადებით შედეგებთან ერთად ნათლად დაგვანახა ის საშიშროება, რომლებიც წარმოიშობა ბუნებრივი რესურსების ინტენსიური მოხმარებისას. მნიშვნელოვნად გაიზარდა ანტროპოგენული ხასიათის კატასტროფების შესაძლებლობები. ამავდროულად, ინფორმაციული ტექნოლოგიების საოცარმა პროგრესმა მეცნიერებში წარმოშვა აზრი, რომ კაცობრიობის გადარჩენის და შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა საზოგადოების ინფორმატიზაცია – ინფორმაციული სივრცეების, მისი ინფრასტრუქტურის ყოველმხრივ განვითარება და უსაფრთხო ფუნქციონირება [1,2,3].

**2. ძირითადი ნაწილი**

ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობა-განვითარებისთვის უმთავრეს პირობას წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ქვეყანაში უზრუნველყოფილი სტაბილურობა, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლებასთან, როგორც ადამიანთა არსებითი ინტერესების განხორციელების საშუალებასთან და პოლიტიკასთან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ურთიერთობების ხელისუფლებრივი მართვა და რეგულირება. ამ პრობლემის განალიზებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ სახელმწიფო სისტემა ღია სისტემაა, რომელიც ურთიერთმოქმედებს სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეებთან და ფაქტობრივად, წარმოადგენს რეგიონალურ და საერთაშორისო სისტემებში ერთ-ერთ ქვესისტემას. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ სახელმწიფოს სტაბილურობაზე გავლენას ახდენს არა მარტო შიგნით ფაქტორები, არამედ, უამრავი, სხვა გარეშე ფაქტორებიც და სახელმწიფოს, როგორც ღია სისტემის, უნდა თუ არა მას ეს, აუცილებლად ექნება შეხება იმ ფაქტორებთან, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ნეიტრალური და ხელშემწყობი, ასევე ანტაგონისტური.

სახელმწიფო სისტემამ, ფუნქციონირებს რა თავისი დანიშნულების უზრუნველსაყოფად, შეიძლება განიცადოს შემოჭოტი ზემოქმედებები, როგორც სხვა სახელმწიფოებისგან, ასევე ბუნებისგან. რა თქმა უნდა, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ სისტემა ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების ისეთნაირად მართვას, რომ უზრუნველყოფილი

იქნას მთავარი მიზნის მიღწევა, რისთვისაც მას აუცილებლად დასჭირდება შიდა მოწესრიგებული სტრუქტურული ურთიერთობები და რესურსები გარეშე და შიდა, შემშფოთი ზემოქმედებების ნეიტრალიზებისა და სისტემის სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისათვის. ხელმწიფოს სტაბილურობის და მდგრადი განვითარების უმთავრესი მიზანი  $Z$  უნდა იყოს თითოეული ადამიანის, ასევე მათ მიერ შექმნილი საზოგადოების, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა. ამ უმთავრესი მიზნის განხორციელებისთვის, როგორც ამერიკელი სისტემოლოგი თ. საატი მიუთითებს [2], აუცილებელია სისტემა იყოს საკმარისად საიმედო, რომ მან უზრუნველყოს  $Z$  მიზნის რეალიზაციასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფუნქციების  $\Psi_1, \Psi_2, \dots, \Psi_s, \dots, \Psi_n$  და ამ ფუნქციების შესრულების მრავალსაფეხურიანი რთული პროცესების  $F_1^{(j)}, F_2^{(j)}, \dots, F_i^{(j)}, \dots, F_n^{(j)}$  ისე წარმართვა, რომ  $\Psi_s$  ფუნქციების შესრულების ეფექტურობათა

$$E_s = E_s(\Psi_s) = E_s(F_1^{(j)}, F_2^{(j)}, \dots, F_n^{(j)}) = E_s(\{F_i^{(j)}\}) \quad (1)$$

$$i = \overline{1, n}; \quad s = \overline{1, N}; \quad j = \overline{1, j}.$$

ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ვექტორ-ფუნქციონალს  $E_s = \{E_s\}$ , ტოლი იყოს  $Z$  მიზნისა. ცხადია, პროცესების მართვა მოითხოვს გარკვეული რესურსების –პარამეტრების ქონას და ამ პარამეტრების ოპერატიულად შეცვლას გარემო პირობების გათვალისწინებით. ზოგადად, თითოეული დონის პროცესი წარმოადგენს რთულ ფუნქციონალს.

$$F_i^{(j)} = F_i^{(j)}(\{Q_a^{(j)}\}, \{B_k^{(j)}\}, \{C_e^{(j)}\}, \{d_p^{(j)}\}) \quad (2)$$

$$a = \overline{1, A}; \quad k = \overline{1, k}; \quad l = \overline{1, L}; \quad p = \overline{1, P}.$$

სადაც  $b_k^{(j)}, c_e^{(j)}, d_p^{(j)}$  არის  $j$  დონეზე მოქმედი გარემოს პარამეტრები: ა)  $b_k^{(j)}$  წარმოადგენს  $j$ - დონის გარემოს აქტიურ პარამეტრებს, რომლებიც მიმართულია სისტემის ეფექტურობის შემცირებისაკენ; ბ)  $c_e^{(j)}$  წარმოადგენს  $j$ -ური დონის გარემოს ნეიტრალურ პარამეტრებს; გ)  $d_p^{(j)}$  წარმოადგენს  $j$  ური დონის გარემოს ხელშემწყობ პარამეტრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისტემის მიერ  $\Psi_s$  ფუნქციათა შესრულების ეფექტურობის ვარიაციები გარემოს პარამეტრებისგან დამოკიდებულებით იქმნება:

$$\overline{\sigma E_s}(\{b_k^{(j)}\}) < 0, \quad k = \overline{1, k}; \quad j = \overline{1, j}.$$

$$\overline{\sigma E_s}(\{c_e^{(j)}\}) = 0, \quad l = \overline{1, L};$$

$$\overline{\sigma E_s}(\{d_p^{(j)}\}) > 0, \quad p = \overline{1, P}.$$

ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო სისტემის სტაბილურობა და მდგრადი განვითარება მის ძირითად მიზანს აქცევს დროის ფუნქციად და შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო ფუნქციის  $\Psi_s$  (ვუწოდოთ მას სისტემა) მართვის პროცესები შეიძლება წარმოვიდგინოთ მუდმივად განმეორებადი შემდეგი ეტაპების სახით:

- სისტემის საწყისი მდგომარეობის განსაზღვრა;
- სისტემის განვითარების შესაძლო მიზნების განსაზღვრა;
- განსაზღვრა შესაძლო მმართველი ზემოქმედებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ დასახული მიზნის ან მიზანთა ერთობლიობის მიღწევას;
- გამორკვევა და განჭვრეტა იმ პარამეტრების მნიშვნელობებისა, რომლებიც ახასიათებენ სისტემის მიმდინარე მდგომარეობას –სიტუაციას დროის მოცემულ მომენტში და უახლოეს, თვალმისაწვდომ მომავალში;
- სისტემის-სიტუაციის განვითარების ნორმატიული ტრაექტორიის განსაზღვრა: სტრატეგიული დაგეგმვა;
- ნორმატიული ტრაექტორიის დასაშვები გადახრების დადგენა, რომლიდანაც გასვლა მიუღებელია სისტემის (სიტუაციის) განვითარების მიზნის(მიზნების) თვალსაზრისით;
- პარამეტრების მნიშვნელობების გადახრების ფიქსაცია, რომლებიც აღწერენ სისტემის (სიტუაციის) მდგომარეობას დროის ყოველ მომენტში, იმ მნიშვნელობისგან, რომლებიც განსაზღვრულია სიტუაციის განვითარების ტრაექტორიით;
- გამოვლენილი გადახრების უსწრაფესად თავიდან აცილების მიზნით მმართველი ზემოქმედებების გამოუმუშავება და რეალიზაცია: ოპერატიული მართვა.

ნებისმიერი  $\Psi_s$  ფუნქციის შესრულებისას პერიოდულად უნდა მოხდეს მისი რეალიზაციის, ანუ მართვის ეფექტურობის შეფასება. ერთ-ერთი შესაძლო მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას  $\Psi_s$

ფუნქციის შესრულებისას  $Z_s$  მიზნის მიღწევითვის მრავალსპექტრული მარჯვენელი, სადაც ფიგურირებს სტრატეგიული და ტაქტიკური (რაოდენობრივი) მარჯვენები. პირველი ასახავს  $Z_s$  მიზნის მიღწევის ზომას, ხოლო მეორე ასახავს დასახული მიზნის მისაღწევად ამა თუ იმ რესურსების ხარჯვის დონეს. ამ შემთხვევაში  $\Psi_s$  ფუნქციის შესრულების ეფექტურობის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი გამოსახულება.

$$E_s = \frac{R_s}{Z_s} \cdot \frac{l_{os}}{l_{gs}} \quad (4)$$

სადაც  $Z_s = \Psi_s$  ფუნქციის მიზანია;  $R_s = \Psi_s$  ფუნქციის რეალიზაციის შედეგი;  $l_{os}$  ოპტიმალური ხარჯებია;  $l_{gs}$  - გაწეული ხარჯებია;  $E_s$ -ფუნქციის შესრულების ეფექტურობის მაჩვენებელია.

ცნობილია სხვა რაოდენობრივი მიდგომებიც, მაგრამ მათი საერთო ნაკლოვანებებია ის, რომ, ჯერ ერთი, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის (მართვის) ეფექტურობის შეფასებისას არ ხდება მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეარყიოს სახელმწიფოს სტაბილურობა და ხელი შეუშალოს მის მდგრად განვითარებას. ანუ არ არსებობს „ხარისხობრივი კომპონენტი.“ მეორე, მთლიანობაში კერძო მარჯვენების სისტემას გააჩნია სუფთად ეკონომიკური ხასიათი და დაიყვანება მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებაზე. კიდევ ერთი პრინციპული შტრიხი მდგომარეობს იმაში, რომ შეფასებას, როგორც წესი, ექვემდებარება სახელმწიფოს მართვის ეფექტურობა და არა სახელმწიფო პოლიტიკა.

თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური არეალები ითხოვენ აღნიშნული საკითხის გააზრების ახალ ხარისხობრივ დონეს, მოიძებნოს ეფექტური შეფასებითი ტექნოლოგიები სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთმოქმედების „საზოგადოება-ხელისუფლება“ სისტემაში.

აქვე, გასათვალისწინებელია  $\{\Psi_s\}$  ფუნქციის სიმრავლის შესრულების თავისებურებები:

- მასში მიმდინარე პროცესების (ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) მრავალსპექტრულობა და მათი ურთიერთდაკავშირებულობა, რის გამოც შეუძლებელია ცალკეული მოვლენების გამოცალკევება და დეტალური გამოკვლევა-მათში მიმდინარე ყველა მოვლენა უნდა განიხილებოდეს ერთობლივად;

- პროცესების დინამიკაზე საკმარისი რაოდენობრივი ინფორმაციის არ არსებობა, რაც განაპირობებს ასეთი პროცესების ხარისხობრივ ანალიზზე გადასვლას;

- პროცესების ხასიათის დროში ცვალებადობა და ა.შ.


ე.ი. შეუძლებელია  $\Psi_s$  ფუნქციათა (სისტემის) დეტერმინებული, ცხადი სახით წარმოდგენა. აღნიშნულის გამო სახელმწიფოში (და საერთოდ) სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სისტემებს უწოდებენ სუსტად სტრუქტურირებულ სისტემებს. მიმდინარე სიტუაციის ქვეშ იგულისხმება სუსტად სტრუქტურირებული სისტემის მდგომარეობა დროის მოცემულ მომენტში. ფაქტორების რაოდენობა სიტუაციაში შეიძლება იზომებოდეს ათეულობით. ყველა მათგანი ჩახლართულია დროში ცვლად მიზეზებთან და შედეგებთან: ასეთ მრავალფაქტორიან ველში უკიდურესად ძნელია მოვლენათა განვითარების ლოგიკის დანახვა და აღქმა. სისტემატიურადაა საჭირო (ზოგჯერ დაუყოვნებლივ) პასუხის გაცემა შემდეგი ტიპის შეკითხვაზე: „რა უნდა გაკეთდეს (რა ფაქტორებზე უნდა ვიმოქმედოთ, თანაც ეს შეიძლება იყოს პარამეტრები, პროცესების მიმდინარეობა და ა.შ.), რომ გაუმჯობესდეს სიტუაცია?, „რომელი გასატარებელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური დასახული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით?“ და სხვა.

კაცობრიობამ მიაღწია თავისი განვითარების ისეთ ეტაპს, როცა მძლავრი ინფორმაციული ტექნოლოგიების – ავტომატიზებული სისტემების გამოყენებით შესაძლებელი ხდება წარმოდგენილი

პრობლემების გადაწყვეტა და აღნიშნულ შეკითხვებზე წარმატებით პასუხის გაცემა. აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო უახლოესი კომპიუტერული ტექნიკის, ტელეკომუნიკაციების შესაძლებლობები, არამედ სისტემოლოგიების მიღწევები, რომელთა მტკიცებითაც, ნებისმიერი რთული სისტემა, მიუხედავად თავისი ბუნებისა, მოდელირებადი. ე.ი. რთული სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ მოდელების სასრული სიმრავლით, რომელშიც თითოეული მოდელი ასახავს რთული სისტემის რომელიმე, გარკვეულ არსს [5,6]. ამ სიმრავლეს უნდა მივაკუთვნოთ სიტუაციების შემეცნებითი (კოგნიტიური) მოდელირების კომპიუტერული საშუალებები, რომლებიც უკვე ათეულობით წელია გამოიყენება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და ეხმარებიან საწარმოებს გადარჩენა და განავითარონ ბიზნესი, ხოლო ხელისუფლების ორგანოებს მოამზადონ კარგი, ნორმატიული დოკუმენტები.

კოგნიტიური მოდელების საშუალებებს გააჩნიათ ისეთი თავისებურებები, რაც გამორიცხავს მათ მექანიკურ გადმოტანას არა მარტო სხვა ქვეყნებში, არამედ თუნდაც ერთი საწარმოდან მეორე საწარმოში. ეს სპეციფიკაა-მათი ორიენტირებულობა სიტუაციების განვითარების კონკრეტულ პირობებზე, რომლებიც არსებობენ ამა თუ იმ ქვეყანაში, რეგიონში, ქალაქში, დასახლებულ პუნქტში, სოფელში (პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის და ხელისუფლების მენტალობა, საინფორმაციო სფეროს ქოტურობა, ბაზრის გახსნილობა და სხვა).

ამ შემთხვევაში მოდელირება –ესაა საშუალება ნეგატიური ტენდენციების დასწრების და თავიდან აცილების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კანონზომიერების გამოვლენის, პრობლემაზე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების და ამის საფუძველზე პრაქტიკული დასკვნების ფორმულირებისა. მოდელირება, როგორც მართვის მთავარი ინსტრუმენტი, წარმოადგენს ციკლურ პროცესს (ნახ.1), ცოდნა საკვლევ პრობლემაზე ფართოვდება და ზუსტდება, ხოლო საწყისი მოდელი განიცდის სისტემატიურ სრულყოფას.



**ნახ.1 მოდელირების პროცესი**

რთული სიტუაციის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზისას აუცილებლად დგება შემდეგი საკითხები:

1. მართვის რომელი მოდელი უნდა შეირჩეს მიზნობრივი ფაქტორების სასურველი ქცევის უზრუნველსაყოფად?

2. სიტუაციის როგორი ცვლილებებია შესაძლებელი (აუხლოეს) მომავალში?

3. რა პრობლემები შეიძლება ამ დროს წარმოიშვას?

პირველი ჯგუფის შეკითხვები –ესაა დასახული მიზნის მისაღწევად სიტუაციის მიმდინარე (ოპერატიული) მართვის საკითხები. ამ ამოცანის ამოხსნა შეიძლება იყოს მართვის რამოდენიმე „ვარიანტი“ ვარიანტი. ნაპოვნი მართვის თითოეული ვარიანტის რეალიზაცია გულისხმობს შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. ამ დროს უნდა გადაიჭრას ვარიანტების შედარებითი შეფასების ამოცანა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- მართვის შედეგების სიახლოვით დასახულ მიზანთან (ვარიანტების ეფექტურობის მაჩვენებლების მიხედვით);

- დანახარჯებით (ფინანსური, ფიზიკური, მორალური და ა.შ.), რომლებიც დაკავშირებულნი არიან ცალკეული ვარიანტების რეალიზაციასთან;

- შედეგების ხასიათის (შექცევადი, შეუქცევადი) მიხედვით, რეალურ სიტუაციაში შესაბამისი ვარიანტების რეალიზაციისას და ა.შ.

მეორე ჯგუფის შეკითხვები დაკავშირებულნი არიან მიმდინარე სიტუაციაში შესაძლო ცვლილებების სტრატეგიების პროგნოზირებასთან. ეს ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იყოს შიდა მიზეზებით (მაგალითად, გარკვეული მართვის რეალიზაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს რეალურ სიტუაციაში ფაქტორების ურთიერთმოქმედების ცვლილებასთან და ამ ცვლილებამ შეიძლება წარმოშვას ახალი პრობლემები) და გარეშე მიზეზებით, რაც განაპირობებულია იმ გარემოებებით, რომ რეალურ სიტუაციაში უწყვეტად მოქმედებენ გარე შემოფოთებები, რომელთა წყაროები არ არიან ჩართულნი გასაანალიზებელი სიტუაციის კონკრეტულ მოდელში. მიზეზების ხასიათისგან დამოუკიდებლად, რომლებიც ცვლიან სიტუაციას, მათი გათვალისწინება მოითხოვს სიტუაციის საწყისი კონკრეტული მოდელის შეცვლას.

მესამე ჯგუფის შეკითხვები დაკავშირებული არიან შეცვლილი სიტუაციის ანალიზსა და ამ დროს წარმოქმნილი პრობლემების (კერძოდ, კრიზისული სიტუაციების შესაძლო წარმოქმნით) აღწერასთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება ანალიზის მიზნებიც შეიცვალოს, ამიტომ ახალი პრობლემები დაკავშირებული არიან შეცვლილ სიტუაციაში შეცვლილი მიზნობრივი ფაქტორების სასურველი ქცევის უზრუნველყოფასთან. ამ დროს წინასწარ განჭვრეტადი მიზეზებისათვის ანალიზი და გადაწყვეტა პრობლემისა, რომლების დაკავშირებულნი არიან კრიზისული სიტუაციის წარმოქმნასთან, ხორციელდება ასეთი სიტუაციების რეალურ დადგომამდე, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას წინასწარი ზომები კრიზისული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად, ან „კარგად“ მოვემზადოთ მათ დასაძლევად.

### **3. დასკვნა**

სახელმწიფოს მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შექმნა, რაც თავისთავად ურთულესი პრობლემაა, იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დამყარდეს თვისობრივად სრულიად ახალი ურთიერთობები. დღეს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა - განვითარებულიც და განვითარებადიც, სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების, შექმნილი სიტუაციების მართვის ავტომატიზებით ცდილობს უფრო დაუახლოვდეს თავის მოქალაქეებს, საზოგადოებას, მეწარმეებს, გაიგოს მათი შეხედულებები ამა თუ იმ პრობლემის და საერთოდ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ და ამის მიხედვით განახორციელოს სიტუაციის მართვა. სწორედ ასეთი მიდგომა შეიძლება იქცეს მძლავრ ხელშემწყობ ფაქტორად ქვეყანის სტაბილურობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

#### **ლიტერატურა:**

1. ჩოგვაძე გ. ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი. საქართველო, თბ.,2003
2. Урсул А. Д. Информатизация общества. Введение в социальную информатику. М. АОН, 1990
3. Моисеев Н. Природный фактор и кризис цивилизации. ОНС. № 2. 1993
4. Саати Т. Принятие решений. Метод анализа иерархии. М. Радио и связь, 1993
5. Шабров О.Ф. Компьютерной моделирование социально–политических просессов. М. Прогресс, 1997
6. Шрейдер Ю.А. Системы и модели. М., Радио и связь, 1982

### **RESEARCH OF SOME PROBLEMS OF CREATION OF THE UNIFORM MANAGEMENT INFORMATION SYSTEM BY THE STATE**

Shonia Otar, Nareshelashvili Gulbaat, Maisuradze Giorgi,  
Shonia Akaki  
Georgian Technical University

#### **Summary**

The analysis of necessity of creation of the uniform automated control system by the state and some problems to be solved necessarily is lead. Also it is shown, what place should borrow in this system cognitive modeling of a situation, main principles and are presented to feature of its creation and application.

### **ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМ СОЗДАНИЯ ЕДИНОЙ АСУ ГОСУДАРСТВОМ**

Шония О., Нарешелашвили Г., Маисурадзе Г., Шония А.  
Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Проведен анализ необходимости создания единой автоматизированной системы управления государством и некоторых проблем, решение которых будет необходимым в этом случае. Также показано, какое место должно занять в этой системе когнитивное моделирование ситуации, и представлены основные принципы и особенности ее создания и применения.